საქართველოს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ღილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 210

სამშაბათი, მაისის 9 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

სახალხო სახლი
ორშაბათს, მაისის 15-ს
ქართველ მსახიობთა მონაწილეობით სრულიად ახალი ტრაქტოვკით და ახალი მიზან სცენებით წარმოდგენილი იქნება შექსპირის
„ჰამლეტ“
ამ წარმოდგენაზე პირველად დაიდგმება ის სცენები, რომელიც ჯერ ქართულ სცენაზე არ დადგმულა.
უმთავრეს როლებში: ოფელია—ვერიკო ანჯაფარიძე, ჰამლეტ—ვახტანგ გარრიკი.
დასაწყისი საღ. 8 ს.
დაწვრილებით აფიშებში.
რეჟისორი: ვახტანგ ჯარრიკი.
ბილეთები იყიდება.

აპოლიზმის პოლიტიკა და მენშევიკები

მენშევიკებზე სწორედ სიტყვა-სიტყვით არის გამოპრილი თქმულება „წყალ წადებული ხავს ეკიდებოდაო“ და მართლაც, ეს პარტია არ უშვებს შემთხვევას, რომ არ სცადოს თავიანთი განწირული მდგომარეობის დახსნა, რომ არ შეეცადოს გამოიყენოს ამისათვის ყოველი ფაქტი, თუნდაც უკანასკნელი აშკარად მისცა საწინააღმდეგოდ ლაღადებდეს. როგორც, ტაღლებისაგან გატაცებული მცურავი ხავსზე ან ყინულის ნაგლეჯზე ხელის წაპოტინებით ამტკიცებს თვის უბადრუკობას და სისუსტეს სტიქიის ძლიერების წინაშე, ასევე მენშევიკების ყოველი ცდა რევოლიუციისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული თავდება მათი სრული დამარცხებითა და იზოლიაციით. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებური მენშევიზმი უფრო იახლოვებს თვისი დაცემასა და მშრომელთა ფართო წრეებში უკანასკნელი კრედიტის დაკარგვის საათებს.

მხედველობაში გვაქვს მენშეიკების მონაწილეობა პროფმოძრაობის ორკვირეულში. მათ წამოაყენეს ლოზუნგი: **სრული დამოუკიდებულება პროფკავშირებისა ყოველგვე პოლიტიკისა და ძალა-უფლებისაგან.** ბრძოლა ეკონომიური, დაუნდობელი და სასტიკი ყველა იმათ წინააღმდეგ, რომელიც არ აკმაყოფილებს მუშის რეალ მოთხოვნილებას; პროფკავშირებს არ შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ სხვა და სხვა წარმოების მომენტებს, პოლიტიკურს სიტუაციას. ამიტომ ყოველი გაფიცვა, ყოველი ბრძოლა ამ მომენტების მხედველობაში მიღების გარეშე მოხდება. ამგვარია მენშევიზიის განმარტება პროფკავშირების პოლიტიკისა თანამედროვე ეკონომიურ პოლიტიკასთან შეფარდებით.

ცხადია, რომ ამ აპოლიტიზმის აპოლოგეტებს აქვთ გარკვეული პოლიტიკა, პოლიტიკა კონფლიქტის შექმნისა პროფკავშირებსა და სახელმწიფოს შორის, მთლიანობისა და კონტაქტის დარღვევა ჰარმონიულად გადაჯაჭვულ მუშათა ორგანოებს შორის.

გარეგნულად აღნიშნული ლოზუნგი მომხიბვლელია, არქირევოლიუციონურიც ისე, როგორც შორიდან ლამაზი და ბრჭყვიალა არის ყალბი მარგალიტი.

საჭიროა ახლო გაეცნოთ ამ აბსოლუტურ თავისუფლების ლოზუნგს, გაიგოთ ვისგან არის იგი გადმოსროლილი, რომ დარწმუნდეთ მის ფალსიფიკაციურ ნაკეთობაში.

მუშათა სახელმწიფოში ორგანოებს შორის სრული დამოკიდებულების არსებობა აბსურდია ისე, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში დაუშვებელია ბურჟუაზიის ორგანოების სეპარატიული არსებობა. მაშინ ხომ სახელმწიფო სახელმწიფოში შეიქმნებოდა და მით კონფლიქტებისა და ბრძოლის ნიადაგზე დადგებოდა და ერთი და იგივე კლასის სხვა და სხვა ორგანოები, რაც უაზრობაა თეორიულად და დაუშვებელია პრაქტიკაში.

ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ერთი და იგივე კლასის ორგანოებისაგან ფუნქციათა განაწილებაზე, კომპეტენციაზე და საზოგადოთ უფლებრივ ჩარჩოებზე, მაგრამ გაკოტრებული პოლიტიკოსისა და მოაზროვნის როლში აღმოვჩნდებით თუ ვიტყვით, რომ ორი დამოუკიდებელი პოლიტიკის არსებობა შეუძლია ეაიტიოს განსაკუთრებული კლასის სახელმწიფომ.

პროფკავშირებიც ხომ მუშათა კლასის ორგანოებია ისე, როგორც საბჭოთა სახელმწიფო და განა მათ შეუძლიათ ურთიერთ საწინააღმდეგო პოლიტიკა აწარმოვონ, თუ არ დაუშვებთ რომ რომელიმე მათგანი ღალატობს კლასობრივ საფუძვლებს მუშათა კლასისას?

ჩვენთვის უფრო გასაგები იქნებოდა ანარქო-სინდიკალისტებს რომ ეთქვათ ყველაფერი ის, რასაც დღეს „ბულწრფილი“ მენშევიკები გვასწავლიან. ანარქო-სინდიკალისტებისათვის პროფკავშირები ერთად-ერთი ბრძოლისა და წარმოების მუშათა ორგანოები იყო. ისინი უარყოფდნენ ყოველივე სხვაგვარ მუშათა შეკავშირებას, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან; და ბოლოს, ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას და საზოგადოთ მუშათა კლასის პოლიტიკურს შეჯავშვებას.

მაგრამ მენშევიკები რას აქვთ გახდნენ ასეთი მსოფლიო—მხედველობის ხალხ?

აკი მათ ხელში პროფკავშირები უაღრესად პოლიტიკური ორგანიზაციები იყო? აქ მენშევიკები ლოდიკური მაინც იყვნენ.

და განა შესაძლებელია მუშათა კლასის ორგანოების ისე გამიჯვნა ერთი მეორისაგან, რომ სავსებით მოვსპოთ პარალელიზმი მათ მუშაობაში? რაღა თქმა უნდა არა. მართალია პროფკავშირებს ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს დიდი მოედანი ეხსნება შრომის დაცვისათვის ბრძოლის საწარმოებლად, მაგრამ მასვე არ შეუძლია არ იყოს უაღრესად პოლიტიკური საზომის მქონე ორგანიზაციაც ისე, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს არ შეუძლია თავის მხედველობიდან გაუშვას შრომის დაცვის აუცილებლობა.

ამ რიგად, მართალია, თვითეული ამ ორგანოებს, როგორც სახელმწიფოს, ისე პროფკავშირებს განსაზღვრული სამუშაო აქვთ დაკისრებული, მაგრამ მათი ურთიერთ ფუნქციებში შეჭრა სასურველი აუცილებლობაა, ვინაიდან მუშათა ორგანიზაციები საერთო ნიადაგისა და საერთო მიზნებით არიან შეკავშირებულნი; ვინაიდან ეს არის მიზეზი, რომ ისინი შეიფუღებისა და შეზრდისაკენ მიიღტვიან საბოლოოდ; და დადგება დრო, როცა პოლიტიკური ფუნქციები გაითქვიფება საბოლოოდ ერთ მთლიან ეკონომიურ ორგანიზაციაში, რომელსაც ვუწოდებთ სოციალიზმს.

მაგრამ მიუხედავად ამ ჭეშმარიტების სიცხადისა, მენშევიკებმა მაინც პროფკავშირთა „დამოუკიდებელი და თავისუფლად“ არსებობის ლოზუნგი წამოაყენეს.

მაგრამ მენშევიკებს თავიანთი პოლიტიკური ძმების ისტორია დავიწყებიათ, თორემ ჩაკანგული ხმლის ამოღებას არ შეეცდებოდნენ. აკი ეს პროფკავშირთა „თავისუფლებისა“ და „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგები დ ნებისა და მარტოვების მიღერ რუსეთში გაცვდნენ და პოლიტიკური სიკოტრე იგემეს?

იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ მენშევიკებს საპოლემიკო სალარო იმდენად გაღარიბდა, რომ ძველი თამასუქების მეტი არაფერი მოეპოვებ?

სასიამოვნოდ მუშათა კლასისა ეს იმდენად არის სინამდვილე და სიცხადე, რომ ამაზე მსჯელობის გაგრძელებაც არ ღირს და ამიტომ აქ წერტილსაც ვუსვამთ მათ დემაგოგიურ გამოსვლის შეფასებას.

ფიცხი.

საქართველოს საკითხის გარშემო

საქართველოს „წარმომადგენელთა“ შესახებ.

ბერლინი, 12 აპრილი (როსტა). ამხ. ჩიჩერინის გამოსვლა გენუას კონფერენციაზე კვლავ იწვევს აქ აღფრთოვანების და მტრის სასაცილო გრძნობებს. გერმანიის პრესა აღნიშნავს ამხ. ჩიჩერინის როგორც მეორე გამარჯვებას, მისი პროტესტის შემდეგ საფრანგეთის წინადადების გადადებას, დაშვებული ყოფილიყო კონფერენციაზე წარმომადგენელნი საქართველოს მენშევიკური მთავრობისა. რასაკვირველია, ამხ. ჩიჩერინს სრულის დამშვიდებით შეუძლია მოეპყრას საფრანგეთის დასახმარებლად გამოწვეულ იაპონიისა და რუმინიის პროტესტებს. სასაცილოა, რომ „ფორვერტსი“, რომელიც ჩვეულებრივად ასეთი თავდავიწყებით იცავდა ქართველ მენშევიკებს, ახლა, სიხარულისაგან აღფრთოვანებული, ესალმება ამხ. ჩიჩერინის ამ ახალ გამარჯვებას და ნებას აძლევს თავის თავს დასცინოს საფრანგეთს, რომელიც, გაზეთის სიტყვებით, „როგორც სჩანს, ამეღავნებს განსაკუთრებულ მოუთმენლობას თავისი მარცხის გამრავლებაში“. (მოსკოვის „იზვესტია“ № 85).

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა ც. ა. კომიტეტისადმი

მოსკოვის საბჭო თავის მიმართვაში საფრანგეთის წინადადების შესახებ სწერს:

„მოსკოვის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს პრეზიდიუმმა გაიგო გენუას კონფერენციის ანგარიშიდან, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა კონფერენციის პოლიტიკურ კომისიაში წინადადება შეიტანა მოეწვიათ წარმომადგენელი ქართველი მუშებისა და გლეხებისაგან ჩამოგდებული ყოფილი საქართველოს მთავრობა. იმავე დროს იგივე ცნობები გვაწვდიან ანტანტის ექსპერტების მოხსენების ოფიციალურ ტექსტს ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხების შესახებ, რომელნიც სდგანან კონფერენციის დღის წესრიგში.

მოსკოვის საბჭოს არ შეუძლია გვერდი აუაროს ამ ფორმით და შინაარსით გაუგონარ კაპიტალისტურ მპყრობელთა წინადადებას.

მოწვევა ქართველი ხალხის მიერ ჩამოგდებულ მმართველობისა, რომელნიც თავიანთ არსებობის დროს ყოველთვის ეყრდნობოდნენ უცხოელ იარაღზე, განდევნის შემდეგ კი—საფრანგეთის ბანკების ანგარიშზე, წარმოადგენს უცხოეთის კაპიტალის რუსეთზე ახალ შეთანხმებული თავდასხმის პირველ ნაბიჯს. ეს წინადადება ერთხელ კიდევ აგონებს რუსეთის მშრომელ მასას, რომ ბაკოს ნავთი განაგრძობს უცხოეთის კაპიტალისტების მოხიბლვის სამსახურს, და რომ კაპიტალისტური მპყრობელნი, გასთელეს რა კანაში მიღებული თავიანთი განცხადებანი და გადაწყვეტილებანი, მზად არიან ყოველ მათთვის მოხერხებულ მომენტში წაეპატრონონ იმ ტერიტორიასა და ხალხს, რომელნიც შევიდნენ ფედერატიულ კავშირში საბჭოთა რუსეთთან.

(მოსკოვის „იზვესტია“ № 85)

საბჭოთა რუსეთის მემორანდუმი.

ვენა, 22 აპრილი. ჩიჩერინის ნოტასთან ერთად, კონფერენციას გადაეცა აგრეთვე მემორანდუმი, რომელშიც სასტიკ კრიტიკას უკეთებს ლონდონის მემორანდუმს. რუსული მემორანდუმმა გადაშალა ყველა ის წინააღმდეგობანი, რომელთაც შეიცავს კანის რეზოლიუციები და ლონდონის მემორანდუმი და აღნიშნავს, რომ რუსეთმა იცნო კანის რეზოლიუციები მხოლოთ იმ პირობით, რომ სათანადო დათმობა ყოფილიყო დაშვებული დიდი სახელმწიფოების მხრითაც.

თავის ძირითად მოთხოვნილებად რუსეთი აყენებს:

1) ყველა ერების სრული სუვერენიტეტის ცნობას სამეურნეო სისტემის ორგანიზაციაში და მმართველობაში; 2) იურიდიული და ადმინისტრატიული გარანტიები ყველა უცხოელ მწარმოებლებისათვის; 3) ყველა მთავრობების მიერ ცნობა ურთიერთობის პრინციპისა, ვალებისა და ზარალის ანაზღაურების სფეროში. ამ სამი მუხლს რუსეთი აძლევს უდიდეს მნიშვნელობას. ლონდონის მემორანდუმი ესწრაფვის რუსეთის მუშების დამონებას და არ იძლევა არავითარ პრაკტიკულ საშუალებას რუსეთის აღსადგენად. რუსეთის აღდგენას კი მნიშვნელობა აქვს მთელი ევროპისათვის, ვინაიდგან მესზეა დამოკიდებული მიიღებს თუ არა დასავლეთი ევროპა 1916 წლიდან მიუღებელ 8 მილიარდ ტონ პურსვალების საკითხი. ეხლა მეორე ხარისხოვან საკითხს წარმომდგენს და წამოყენებული უნდა იქმნას მხოლოდ მრეწველობის აღდგენის საკითხის შემდეგ.

მემორანდუმი გარდაწყვეტილად ხაზს უსვამს, რომ ანტანტას რუსეთისადმი ფინანსიური მოთხოვნილებანი უნდა იქმნას ისეთი, რომ რუსეთს შეეძლოს მისი შესრულება. მემორანდუმი საჭიროდ სთვლის კანონმდებლობითი წესით გატარებული იქმნას შემდეგი გარანტიები უცხოელებისათვის, რომელიც გამოწვეულია მრეწველობის გაცხოველების საჭიროებისათვის: შინაური ვაჭრობის თავისუფლება, გარანტია უცხოელებს მფარველობისა წინააღმდეგ კონფისკაციისა და უკანონო დაჭერისა, გარანტია უცხოელების კონცესიების მფარველობისა, ურის ყოფა უცხოელ მრეწველობის საქმის წარმოებაში ჩარევისა. ეს გარანტიები შესაძლებელია გატარდეს ცხოვრებაში, თუ რომ რუსეთის მთავრობა ევროპის მიერ ფორმალურად ცნობილი იქნება და რუსეთის სამართლის ნორმები კვლავ არ გამოიწვევენ დავას. კაპიტულიაციის სისტემა, რომელზედაც ლაპარაკობს ლონდონის მემორანდუმი გადაწყვეტილად უარყოფილი უნდა იქმნას. მემორანდუმი პროტესტს აცხადებს წინაღმდეგ იმ მტკიცებისა, თითქოს საბჭოთა რუსეთი არ ასრულებდეს მიღებულ ვალდებულებებს და ამტკიცებს, რომ დღემდე დადებული ხელშეკრულებანი გამოუკლებლად მისგან შესრულებული იყო. რუსეთის მიერ დაუჯიდდებლად მოხდენილს კონფისკაციას, რეკვიზიციას, და ნაციონალიზაციას მემორანდუმი ამართლებს, ერთი მხრით, პრინციპიალური ხასიათის მოთხოვნილებით და, მეორე მხრით, ეკონომიური საჭიროებით. რევოლიუციონური უფლების მიხედვით, რუსეთის მთავრობა არა ცნობს არავითარ ვალს თავის წინათ ყოფილ მთავრობისას და არავითარ ვალდებულებას კონფისკაციით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებისა; ამ მხრივ დაშვებული დათმობა წარმოადგენს არა იურიდიულს, არამედ ნებაყოფლობით მიღებულ ვალდებულებას. მემორანდუმი 1917 წ. რევოლიუციის ფაქტების მიხედვით ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობა წარმოადგენს კანონიერ მთავრობას რუსეთისას.

შემდეგ მემორანდუმი აღნიშნავს, რომ ანტანტა მონაწილეობას ღებულობდა კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის და ვრანგელის თეთრგვარდიელების გამოსვლებში, ამიტომ რუსებს უფლება აქვთ წარუდგინონ მათ ანგარიში რევოლიუციის საქმისადმი ზარალის მიყენებისათვის. მიუხედავად ყველა ამისა, რუსეთი მაინც მზად არის ურთიერთ დათმობის გზით წავიდეს შეთანხმებაზე. მემორანდუმი აღნიშნავს წინაღმდეგობას კანის რეზოლიუციების, რომელნიც ამტკიცებენ სახელმწიფოების სუვერენიტეტის ხელშეუხებლობას და ნაციონალიზაციის გაუქმების მოთხოვნისა შორის, რომელიც გამოთქმულია ლონდონის მემორანდუმში. საბჭოთა მთავრობა ღებულობს მთელ წყობა ზომებს უცხოელთა ქონებრივ უფლების დასაცველად, მხოლოდ ეს ზომები შეთანხმებული უნდა იქმნან კომუნისტურ მეურნეობის სისტემის ძირითად დებულებებთან.

მემორანდუმი მიუთითებს რომ იმ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობისა გამო, რომელსაც გადიდის რუსეთი, მას არ შეუძლია ანტანტის მოთხოვნილების შესრულება. ვალების საერთო ჯამი უდრის 18-ს. მილიარდს ოქროს მანეთს. იმ მოსაზრებით, რომ 1927 წელს რუსეთი დაიწყებს პროცენტების გადახდას და ვალების კაპიტალურ ჯამის დაფარვას, მან ყოველ წლიურად უნდა შეიტანოს 1,200 მილიონი ოქროს მანეთი მაშინ, როდესაც მეფის მთავრობა, მიუხედავად ხალხის საშინლად დაბეგვრისა, უკანასკნელ 5 წელს ომამდე იხდიდა მხოლოდ 400 მილიონს ყოველ წლიურად. იმისათვის, რომ შესრულებული იქმნას ლონდონის მოთხოვნილებანი ამ სახით რუსეთი უნდა ყოფილიყო ეკონომიურად სამჯერ ძლიერი, ვიდრე იმ დროს იყო. მაშინ, როდესაც რუსეთის წლიური შემოსავალი სულზე 101—ოქროს მანეთიდან 30—მანეთამდე დაეცა.

ამ გვარად რომ გადახდილი იქმნას ვალები ლონდონის მოთხოვნილების თანახმად, რუსეთის შემოსავალს 1927 წლამდე უნდა აიწიოს 900 პროცენტით. ლონდონის მოთხოვნილებანი წარმოადგენენ სასაცილო ფანტაზიას. მემორანდუმი პროტესტს აცხადებს აგრეთვე წინაღმდეგ ახალი კრედიტების მოხმარებისა ძველი ვალებს გადასახდელად, ნაცვლად იმისა, რომ ის მოხმარდეს სამეურნეო საქმის აღდგენას. მემორანდუმი მიღავდება იმ საჭიროების დამტკიცებით, გაჭარწყლებული უნდა იქნეს ყველა ვალდებულებანი, რომელნიც დაკავშირებულია ომთან.

გენუას კონფერენციის გარშემო

რუსეთის პროგლემა

„უკან ხლაგია თავს ამართლებს.

ბერლინი 5 მაისი. იუგო-სლავიის დელეგაცია ჩიჩერინისათვის გაგზავნილი საპასუხო წერილში უარყოფს იმ ხმებს, თითქოს იუგო-სლავიამ ხელშეკრულება დასდო ვრანგელთან უკრაინის წინაღმდეგ გასალაშქრებლად. იუგო-სლავიის დელეგაცია აგრეთვე უარყოფს ბრალდებას, თითქოს მას აუტანელი პირობები შეექმნას ეროვნული უმცირესობათათვის—ჩერნოგორელები, კროატების და მაკედონელებისათვის.

ვილების პრობლემა

პარიზი. 5 მაისი, ტექტს მიიღო წინადადება მიიღოს თავმჯდომარეობა რუსეთის საკითხების შესახებ არსებული კომისიისა.

ჩიჩერინი და პაპა პიი მე XI

რომი 5 მაისი, გზ. „ლიმპოს“ ცნობით, შეს ძლიერლად ჩიჩერინი გემგზავროს რომში, სადაც იგი ინ ხულებს პაპა პიი მე-11.

ბერლინი 5 მაისი, გენუიდან მიღებული ცნობების თანხმად, პაპა პიი მე-11 მიმართავს მთელ კულტურულ კაცობრიობას მიწოდებით, დაეხმარონ რუსეთის ხალხს.

აუცილებლად საჭიროა თანხა.

გენუა 6 მაისი. რუსეთის დელეგაციამ კონფერენციის ფინანსიურ კომისიას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ალნიშნულია, რომ რუსეთში რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის აღსადგენად აუცილებლად საჭიროა 6 მილიარდი მანეთი ოქროთი. ამ თანხის ნახევარი მაინც მიღებულ უნდა იქნეს საზღვარგარეთიდან.

დელეგატების ნაწილობრივი გამგზავრება.

პარიზი 6 მაისი. რუსეთი დელეგაციის მახლობელი წრეები იტყობინებიან, რომ მოსკოვს გაემგზავრენ ლიტვინოვი და იოფფე, რომელთაც თან გაყვა რამოდენიმე ექსპერტიც. ჩიჩერინი, კრასინი და რაკოვსკი დარჩენ გენუაში.

რუსეთის ცნობის პირობები.

რომი 6 მაისი. გზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდი“ იტყობინება, რომ ჩრდილოამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აუცილებლად იცნობს საბჭოთა მთავრობას იმ პირობით, თუ იგი მიიღებს მოკავშირეთა მემორანდუმს.

გენუა 6 მაისი. ამერიკის მთავრობა მზად არის იცნოს საბჭოთა მთავრობა იმ პირობით თუ რუსეთი მიიღებს წინადადებათ, რომელნიც ჩამოთვლილია მოკავშირეთა მემორანდუმში.

ჩიჩერინის პეხიმაზმი.

ნაუენი. 6 მაისი. გზეთ „ერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ჩიჩერინი ძლიერ პესიმისტურად უყურებს მოკავშირეთა მემორანდუმს.

უკანასკნელი ფაზა.

ნაუენი 6 მაისი. გერმანიის პრესა იუწყება, რომ გენუის კონფერენციამ, თავის მუშაობაში, მიაღწია უკანასკნელ პოლიტიკურ ფაზას. გერმანიის გაზეთებს არა სწამთ კონფერენციის შედეგების სერიოზული ნაყოფიერება. არ არის აგრეთვე იმედები იმის შესახებ, რომ გამართლდება ხმები ინგლის-გერმანიის პრაქტიკული მოლაპარაკების შესახებ.

კომისიების მუშაობა.

მიწათმოქმედების წარმოების განვითარება.

გენუა 6 მაისი. ეკონომიური კომისიის პირველმა ქვეკომისიამ, 4 მაისს სხდომაზე, მიიღო დადგენილება, რომელიც დადგენილ იქნა ეს საკითხი გადაეცათ ერთა ლიგისათვის და ეთხოვად მისთვის რაც შეიძლება მცირე ხნის განმავლობაში მისი შესწავლა. შემდეგ მიღებულ იქნა იტალიის დელეგაციის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომლითაც ერთა ლიგას სთხოვენ დაეხმაროს მიწათმოქმედების საერთაშორისო ინსტიტუტს საბაჟო ტარიფების ცხოვრებაში გატარების საკითხში. ამასთან ერთად მიღებულ იქნა დადგენილება იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვის გაუქმების შესახებ. ქვეკომისიის მოხსენება გადაეცა კომისიას. ეკონომიური კომისიის პლენარული სხდომა გაიმართა 4 მაისს

კონფერენციის გარშემო.

გამგზავრება.

გენუა. 6 მაისი. ვინაიდან ზოგიერთმა კომისიებმა დაასრულეს თავისი მუშაობა იმ დელეგაციათა და ექსპერტების ნაწილი, რომელიც შედიოდა რუსეთის, ინგლისის და სხვათა დელეგაციებში, გაემგზავრა გენუიდან.

სრული თანხმობა.

რომი. 5 მაისს, დილით, ფაქტმა გააკეთა მოხსენება, იტალიის მინისტრთა საბჭოში კონფერენციის მუშაობა-სმენელობის შესახებ. ფაქტმა აღნიშნა ის სრული თანხმობა, რომელიც არსებობს იტალიისა და ინგლისის დელეგაციათა შორის. იტალიის მთავრობამ მოიწონა იტალიის დელეგაციის ტაქტიკა და ნდობა გამოუცხადა მუშაობას, დეპუტატთა პალატა ტაშის ცემით შეიგება ფაქტს. ფაქტმა მადლობა გადაუხადა პარლამენტს და განაცხადა, რომ იტალიის დელეგაცია დაიცავს იტალიისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

გარანტიათა ხელშეკრულება.

ნაუენი 4 მაისი. ვირტმა დროებით გადასდო გენუიდან გამგზავრება. ლოიდ ჯორჯმა სურვილი გამოსთქვა დაესწრონ კონფერენციის პლენარულ სხდომას ვირტი და რატენაუ მაშინ, როდესაც განხილული იქნება გარანტიათა ხელშეკრულება.

ბერლინი 4 მაისი. საფრანგეთის მთავრობა უცხადებს, რომ იგი იმ პირობით მიიღებს მონაწილეობას გარანტიათა ხელშეკრულების განხილვაში თუ: 1) რუსეთი მიიღებს მოკავშირეთა მემორანდუმს, 2) სანქციათა უფლებებში არავინ ჩაერევა და 3) ცნობილი იქნება საერთაშორისო ჩარევა გადასბურგებისა და ჰოგენცოლერნების ტახტის წართმევის საქმეში.

საფრანგეთი გენუაში.

გენუა. 6 მაისი. საფრანგეთის დელეგაციის მეთაური უნდა ჩამოვიდეს გენუაში 7 მაისს.

ბერლინ. 6 მაისი. პარტუ პარასკევს გაემგზავრა პარიზიდან.

ინგლის გერმანია მოლაპარაკება.

ნაუენი 6 მაისი, ხუთშაბათს გაიმართა ინგლისისა და გერმანიის დელეგაციათა თათბირი. თათბირს დესწრენ ლოიდ ჯორჯი და ვირტი. გარჩეული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა. გადაწყდა ხელახლავ გამართონ თათბირი მას შემდეგ, როდესაც ლოიდ ჯორჯი ინახულებს ბარტუს. თათბირს ძლიერ მეგობრული და გულწრფელი ხასიათი ქონდა

მეორე პლენარული სხდომა

ბაგნა მარგარიტა. 4 მაისი. ალანიშნავა კონფერენციის მეორე პლენარულ სხდომაზე საფრანგეთის დელეგატის ბარტუს გამოსვლა, რომელმაც ნათლად დაახასიათა უაზრობა და დამღუპველობა იმ ფინანსიური მდგომარეობისა, რომელიც შეექმნა ევროპას ვერსალის ხელშეკრულებამ. რატენაუმ განაცხადა, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკამ შექმნა გერმანიაში რაღაც მომჯადოებული წრე. ათიათასი მუშა დარჩა უმუშევრად, თავისი ოჯახობით, შეიძლება ითქვას, ისინი წარმოადგენენ მთელ ერს, მაშინ, როცა სახელმწიფოს სყიდვითი შესაძლებლობის შემცირების გამო, საშვალება არა აქვთ შეიძინონ ის საქონელი, რომელსაც სხვა ერები აწარმოებენ.

დანარსენ დელეგატების გამოსვლა უფერული იყო. იტალიელები სცდილობდნენ იმგვარად დაესურათებინათ მდგომარეობა, თითქოს კომისიების მიერ წამოყენებული რეზოლიუციები დასაწყისი იყოს რაღაც „ახალი ერასი“. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს რეზოლიუციებით აპრეფიებულ რეფულს, რომელიც დაურიგდათ დელეგატებს და სადაც ადნიშნული არის უზენაესი საუკეთესო სურვილები იმის შესახებ, რომ სახელმწიფოთა ხარჯები არ ამეტებდნენ მის შემოსავალს, შეჩერებულ იქნეს ზომაზე მეტი გამოშვება ქაღალდის ფულებისა. ხალხი გადავიდეს ოქროს ვალუტაზე, რომ შემოღებულ იქნეს ოქროს ფულის ტრიალი და სხვ. ცხადია რომ კონფერენციის ამ „ნაყოფიერების“ დემონსტრაციას აზრად ქონდა დაენახვებინა ევროპის ქვეყნების ჩვეულებრივ მოქალაქეთათვის, რომ 3 კვირის განმავლობაში გენუაში ჯდომა ტყუილუბრალოდ არ ჩატარებულა მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ საქმის არსებით მხარე მდგომარეობას არა სურვილებში, არამედ იმ შეჯახებებში, რომელიც უნდა მოხდეს კონფერენციის მთავარი საკითხის—რუსეთის საკითხის—შესახებ.

რუსეთის დელეგაციის სახელით ალაპარაკა ჩიჩერინმა, რომელმაც პირველ ყოვლისა, აღნიშნა, ის გარემოება, რომ რუსნთს პირველად ოთხი წლის შემდეგ უხდება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად. ადასტურებს რა იმ რწმენას, რომელიც გამოსთქვა შანცერმა, რომ მხოლოდ მშვიდობიანობის პოლიტიკას შეუძლია ერების ფინანსური გაჯანსაღება, რუსეთის დელეგაცია აცხადებს, რომ ასეთი გაჯანსაღების უმთავრეს პირობას საერთო განიარაღება წარსოადგენს. ამ მხრივ ყველა ხალხების ინტერესი უფრო მადლა უნდა დაეყენოთ, ვინემ კერძო პირებისა ან ზოგიერთი ჯგუფებისა.

ჩიჩერინმა ხაზი გაუსვა იმ აუცილებელ გარემოებას, რომ კერძო პირებისათვის კრედიტების გახსნის გარეშე უნდა არსებობდეს ერთი მთავრობისაგან მეორისადვის სესხის მიცემა. ჩიჩერინმა აღნიშვნა, რომ რუსეთს არ შეუძლია საგალიუტო ოპერაციებზე სახელმწიფოს კონტროლი მოსპოს, რადგან საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციაა გამოცხადებული. რუსეთის დელეგაციის სახელით ჩიჩერინი აცხადებს, რომ დელეგაციი წინ დადებას მისცემს თავის მთავრობას განიხილოს კომისიის დადგენილებანი, რამდენათაც იგი შესაძლებელი იქნება.

ჩიჩერინის პროტესტი.

ხანგა მარგარიტა 4 მაისი. ჩიჩერინმა გაუგზავნა კონფერენციის თავჯდომარე ფაქტას შემდეგ ნოტა: „ეკონომიურმა კომისიამ გამოყო განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს სპეციალურად შრომის ურობების საკითხი ამ კომისიის თავმჯდომარემ თავის შეხედულებით შეადგინა იმ სახელმწიფოთა სია, რომლის წარმომადგენელიც უნდა შედიოდეს კომისიაში. ამ სიაში რუსეთი შეტანილი არ არის მიუხედავათ იმისა, რომ იგი წარმოადგენს პირველ ისეთ სახელმწიფოს, რომლის ძირითადი კანონი და პოლიტიკა მიმართულია მუშათა კლასის ინტერესების დაცვისაკენ, მე იძულებული ვარ პროტესტი განვაცხადო. როგორც კომისიის ამ ახალი ფორმით შედგენისა, ისე კომისიაში რუსეთის არ მიწვევის წინააღმდეგ.“

მოკავშირეთა მემორანდუმის შედგენა გარშემო.

ხანგა-მარგარიტა 4 მაისი. მოკავშირეთა მემორანდუმის შედგენის დროს, ბელგიის წარმომადგენელი ექსპერი ენერგიულად მოითხოვდა აუცილებლად დაბრუნებოდათ ყოფილ მესაკუთრეთ მთელ ქონება. ლოიდ-ჯორჯმა ამაზე უპასუხა რომ მოკავშირეთა ის დაბრკოლებანი, რომელნიც დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან, შეუძლებელია იმ აუტანელ პირობებთან შედარებოთ, რომელსაც რუსეთი განიცდის.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოკავშირენი არ უნდა გასცილდნენ კანონის დადგენილებათა პირობებს. „თქვენ მოითხოვთ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას, განაცხადა ლოიდ-ჯორჯმა, უფრო მეტად, ვინემ ეს შეუძლია დაუშვას სუვერენულ სახელმწიფომ. და საერთოდ თქვენ რუსეთისაგან მოითხოვთ იმაზე მეტს, რასაც თქვენ სთხოვთ რუმინიასა და ჩეხოსლოვაკიას, როდესაც ეს სახელმწიფონი იდგენდნენ ზომებს თავის წარმოებათა ნაციონალიზაციისათვის.

ლონდონი 3 მაისი. საფრანგეთის დელეგაციამ მემორანდუმში შემდეგი შინაარსის შესწორება შეიტანა: „თუ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ყოფილ მესაკუთრეთ დაუბრუნოს თავისი ქონება, მაშინ ეს ქონება არ უნდა გადეცეს სხვა პირს, თუ მომავალში განხორციელდა ამ ქონებათა გადაცემა, აპირატესობა ყოფილ მესაკუთრეთ უნდა მიეცეს.

ბარტუს ახალი ინსტრუქციები.

გენუა 5 მაისი. გზეთ „ლ'ევრის“ ცნობით ბარტუ ბრუნდება გენუაში ახალი ინსტრუქციებით. საფრანგეთის მთავრობა სცნობს მოკავშირე სახელმწიფოთა დამოკიდებული მოქმედების უფლებას და ამიტომ ინგლისსა და იტალიას შეუძლიათ დე-იურე იცნონ საბჭოთა რუსეთი, მაგრამ არ დაავალონ ანტანტის სხვა სახელმწიფოთ იგივე ჩაიდინონ. ამასთან ერთად საფრანგეთსა და ბელგიას შეუძლიათ არ მოაწერონ ხელი რუსეთის მოთხოვნილებათა საპასუხო მემორანდუმს, მაგრამ ამით ისინი დაბრკოლებას არ ქმნიან მოკავშირეთა დანარჩენ სახელმწიფოთათვის. ახალი ინსტრუქციით საფრანგეთის დელეგაცია არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს რეპარაციონული პრობლემის განხილვას.

რუსეთის ცნობის შესახებ.

გენუა 5 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ლოიდ ჯორჯმა და შანცერმა გადასწყვიტეს დაუყონებლივ შეუდგენენ საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხის განხილვას.

რუსეთის პასუხი

ბოლონი. 5 მაისი. ფრანგული გზეთები იტყობინებიან: ჩიჩერინის მიერ რეიტერის სააგენტოსათვის გადაცემული ცნობების თანახმად რუსეთის პასუხი მოკავშირეთა მემორანდუმზე ორი დღის განმავლობაში იქნება შემუშავებული.

ახალი პროექტი რუსეთის საკითხას შესახებ.

ბერლინ. 5 მაისი. გენუის გზეთების ცნობით კონფერენციის ახლო წრეებში წამოიჭრა საკითხი, რუსეთის საკითხი გადასცენ განს ხალვალ დ განსაკუთრებულ კონფერენციას. ამ პროექტის თანახმად ეს კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნეს პრაგაში.

ამერიკა კმაყოფილია.

გენუა. 5 შანცერთან ბაასის დროს, გენუაში მყოფმა ამერიკის ელჩმა ჩაილმა გამოსთქვა კმაყოფილება კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ.

რუსეთი და პოლონეთი

ვარშავ. 6 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა სავსებით სკირმუნდის პასუხი, 3 მაისის თარიღით ჩიჩერინის ნოტაზე 30 აპრილის თარიღით. სკირმუნდი პირველ ყოვლისა უსაყვედურებს რუსეთის დელეგაციას იმას, რომ სთვლიდა რა იგი თავისთვის საკადრეულოდ რიგის ოქმს, გენუაში მიზან შეწონილობისა და მოქმედების კოორდინაციისათვის, წინასწარ არ ეთათბირა პოლონეთის დელეგაციას გერმანიასთან ხელშეკრულების დადების შესახებ. სკირმუნდი აბრუნებს ჩიჩერინს, რომ გენუის კონფერენციის იმ მუშაობაში, რომელიც ეხება რუსეთის საჭიროებებზე გულწრფელი მზრუნველობით და მისი ინტერესებს დაცვით, რადგანაც მას სწამს, რომ ეს ინტერესები არსებითად უთანხმდებიან ევროპის ინტერესებს. პოლონეთი ყოველგვარად სცდილობს კონფერენციის მუშაობას ნაყოფიერი შედეგები მოყვეს, რომელიც მოწვეულია იმისათვის, რომ საფუძველი ჩაუყარონ სხვა დანარჩენ სახელმწიფოებთან რუსეთის. მაგრამ ხელმძღვანელობს რა საკუთარი ინტერესებითაც, რომელიო გამომდინარეობს რუსეთის მეზობლობიდან და აგრეთვე რიგის ხელშეკრულებითაც, პოლონეთი ვერ ხედავს რუსეთის და სხვა სახელმწიფოების მიერ პრეტენზიების ურთიერთ უარყოფაში არსებულ კრიზიდან გამოსავალ საშვალებას. შემდეგ სკირმუნდი ბრალს სდებს რუსეთს რიგის ხელშეკრულების დარღვევაში. დასასრულ სკირმუნდი მოუწოდებს განამტკიცონ კავშირი ორივ ამ მეზობელ რესპუბლიკათა შორის.

დიდი ფრონტი რუსეთის საკითხის შესახებ.

ჰანნოვერი 6 მაისი. ლოიდ-ჯორჯი მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის, პოლონეთის და სამხრეთ სლავიის დელეგატების მეთაურებთან. გერმანული პრესის ცნობის თანახმად ლლოიდ ჯორჯი ყოველგვარ ღონეს ხმარობს რუსეთის საკითხში ფართოთ ფრონტის შესაქმნელად ამავე მიზანს ემსახურება ბრიტანეთ გაცვლა-გამოცვლა ჩიჩერინსა და პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის დელეგატთაშორის მომხდარი. ლლოიდ-ჯორჯი სცდილობს ხელი შეუშალოს ამ საქმის დამთავრების საწინააღმდეგო საფრანგეთის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია რუსეთსა და გერმანიის წინააღმდეგ.

ბარტუს დაბრუნება

ბოლონ. 6 მაისი. შაბათს დილით ბარტუ დაბრუნდა გენუაში.

ამერიკა და რუსეთის ცნობის საკითხი.

სან პოლო 5 მაისი. გზეთი მანჩესტერ გარდიენი იუწყება, რომ პრეზიდენტმა გარდინგმა განაცხადა აუცილებლობა ამერიკის მთავრობის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობისა.

— ამერიკის დამხმარე ორგანიზაციამ გუვერის სახით ასეთივე განცხადება გააკეთა.

რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.

ჰანოვერი 6 მაისი. რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა „ჩვენ ამდენხანს მრავალ ისეთ დოკუმენტებს ვწერდით ხელს, რომელნიც არ იცავდენ გერმანიის ინტერესებს. მაგრამ შეუძლებელია ყოველთვის ხელი ვაწეროთ ჩვენ საწინააღმდეგო დოკუმენტებს რომელსაც ჩვენ გარეშე ადგენენ. ამიტომ გერმანიამ ხელი მოაწერა რუსეთთან შეთანხმებას“.

გაზეთი „იზვესტია“ მოკავშირეთა მემორანდუმის შესახებ.

მოსკოვი. 8 მაისი. გაზეთი „იზვესტია“ ეხება მოკავშირეთა ახალ მემორანდუმის საკითხს. ეს მემორანდუმი, რომელიც შედგენილია ლოიდ ჯორჯის დიდი გავლენის ქვეშ, საერთოდ და მთლიანად წარმოადგენს ამაეი ყველაზე ფანატიკურ ბანაკის ბანაკის [illegible] ინტერესებს, როგორც [illegible] ინტერესებს [illegible] „იზვესტია“ იხილავს რა მემორანდუმის ცალკე მუხლებს, ომის დროინდელ და ომამდის არსებულ ვალებისა, პროპაგანდისა და სხვათა შესახებ, მიდის იმ დასკვნამდის, რომ ჩვენთვის საესებით მიუღებელია მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობები.

„მაგრამ ყოველივე ეს ცოტაა, სწერს გაზეთი „იზვესტია“, მოკავშირეთა ახალი წინადადებებში შეპარულია კაპიტულიაციის საკითხიც. იყო მომენტი, როდესაც ვფიქრობდით, რომ მოკავშირეებმა შეიგნეს უაზრობა და მიუღებლობა ასეთი მოთხოვნილებისა და საბოლოოდ უარი სთქვეს მასზე, მაგრამ მათ მიტომ გადაიტანეს კაპიტულიაცია კარებიდან, რომ ერთგვარად შეეფასებინათ იგი და შემდეგ ფანჯრიდან შემოეპარებინათ. მემორანდუმი აშკარად ლაპარაკობს შერეულ საარბიტრაჟო ტრიბუნალზე, რომელიც უნდა განიხილონ მომავალი დავა მემორანდუმის განხორციელების საქმიდან გამომდინარე. ეს ტრიბუნალები იქმნებიან შემდეგნაირად: ტრიბუნალის ერთ წევრს ნიშნავს საბჭოთა მთავრობა მეორეს დაინტერესებული უცხო სახელმწიფო, მესამეს საარბიტრაჟო კომისიის თავჯდომარე, რომელმაც უნდა გააჩიოს საბჭოთა მთავრობისა და რუსეთის ფასიანი ქაღალდების მპატრონე უცხო სახელმწიფოთა შორის არსებული დავა. ხოლო ეს საარბიტრაჟო კომისია სდგება შემდეგნაირად: მის ერთ წევრს ნიშნავს საბჭოთა მთავრობა, მეორეს ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე, ხოლო მის თავჯდომარეს შეერთებული შტატების უმაღლესი ტრიბუნალის პრეზიდენტი, ან ერთა ლიგის საბჭო, და ან გაიგის ტრიბუნალის პრეზიდენტი, ე. ი. სამი ისეთი დაწესებულება, რომელთაც ჩვენ არა ვცნობთ და რომელნიც ჩვენ გვცნობენ. ყოველივე ეს უადრესათ უაზრობა და სისულელეა ხოლო არსებითად კი ყოველად მიუღებელი. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ დიდ სახელმწიფოებმა და მისი ფეხის ამყოლებმა სრულებით ვერ შეიგნონ არსებული მდგომარეობა. იმათ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა ალბათ ისე გაიგეს, თითქოს ჩვენ უარი ვსთქვით საბჭოთა წესწყობილებისა და კომუნიზმის პრინციპებზე და ვიფიქრეთ რომ, მათგან იურიდიული ცნობისა და იმ მცირე დახმარების გამო, რომელსაც ისინი მოგვიმზადენ ამა თუ იმ სესხის სახით, დავთანხმდებით ყველა იმ პირობებზე, რომელსაც ისინი წამოგვიყენებდენ. მაგრამ მათ ამაში იმედი გაუცრუვდებოდათ და პასუხისმგებლობა კონფერენციის გაკოტრების შესახებ მხოლოდ მათ დააწვებათ თავზე. შეიძლება ჩვენ, კიდევ დაგვჭირდეს მოცდა. რა უყოთ ჩვენ მოვიცდით მანამდის, სანამ ისინი გონს არ მოვლენ, სანამ მათ სახელმწიფოებში არსებული შინაგანი ბრძოლა არ აიძულებს მათ უარი სთქვან კაპიტალისტთა მადის გაუმაძღრობაზე და კოლონიალურ ზრახვებზე.

ინტერვიუ ტროცკისთან.

მოსკოვი 8 მაისი. (დასაწყისი არ არის მიღებული). სამხედრო ჩარევამ და მოკავშირეთა მიერ წარმოებულმა ბლოკადამ და აგრეთვე მათი დახმარებით სამი წლის განმავლობაში არსებულმა სამოქალაქო ომმა, მიუყენა რუსეთს ბევრად უფრო დიდი ზარალი, ვინემ ის პრეტენზიებია, რომელიც შეუძლიათ წამოუყენონ იმ უცხოელებმა, რომელნიც დაზარალდენ რუსეთის რევოლიუციისაგან. რუსეთის მთავრობა მოითხოვს საომარი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, რკინისგზების და ნავთსადგურების დანგრევის, დაძირული გემებისა და აგრეთვე როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში დანგრეულ ფაბრიკა-ქარხნების გამო. გარდა ამისა იგი მოითხოვს დაუბრუნდეს მას მისი სამხედრო და საგაჭრო ფლოტი. მაგრამ მიუხედავათ ამისა, საბჭოთა მთავრობა, სურს რა მას ალადგინოს დამოკიდებულება უცხოეთის კაპიტალთან, სცნობს უცხოელ მოქალაქეთა უფლებებს ზარალის ანაზღაურებისას იმ პირობით, თუ განხილულ იქნება ჩვენი კონტრ-პრეტენზიებიც, ხოლო თუ რუსეთის მეურნეობის აღსადგენათ ახალი კრედიტების მიღება დამოკიდებული იქნება უწინდელი ვალების გადახდასთან და მთელი დადებითი შედეგები სესხისა მოხმარდება მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაშინ ახალი კრედიტები რუსეთის ხალხისათვის კარგავს ყოველგვარ აზრს. იგი იძულებული გახდება განაგრძოს ნელად მიმდინარე აღორძინება მეურნეობისა თავისი საკუთარი ძალებით, რადგანაც იმედი არ ექნება უცხო კაპი-

...ლის დახმარებისა. თუ გინდაში ეს ...რომლემა არ იქნება გადაწყვეტილი ...ში საბჭოთა რუსეთის მეურნეობის ...ნა იწარმოებს უფრო ნელის ტემ...ით, ხოლო ევროპის მეურნეობის—გა...ლება—განადგურება კი საოცარი ...ფრაფით. რაც შეეხება საფრანგეთს, ...და ითქვას, რომ იგი უახლოვდება ...ტროფს. ეს კატასტროფა დაიწ...ება ფინანსიურ გაკოტრებისგან. საფ...ნეთის დღევანდელი პოლიტიკა არის ...ოწარკვეთილების პოლიტიკა. არავის ...ვითარ შემთხვევაში არ შეუძლია ...ს გაყვეს. ამერიკა გენუის კონფერენ...ციდან განზე სდგას და ამიტომ მას ...ველება აქვს უფრო უკეთესად გაერ...ოს საქმეებში და სათანადოთაც გადა...ტოს იგი. ჩვენ, რასაკვირველია, არ ...ელეთ იმ რჩევას, რომელიც სურთ ...ნ მოგვცენ, ე. ი. გვიკარნახონ ჩვენ ...ეუთრების ფორმა და კანონმდებლობა. ...ვარი რჩევა-დარიგებისათვის არ მოგ...ოდით ჩვენ გენუაში, ამისათვის არ ...დგალთ ჩვენ ოკეანეს.

სატრანსპორტო კომისიაში

...ბორდო. 4 მაისი. სატრანსპორტო ...მისიამ დაადგინა ზოიწვიოს პარიზში ...ინის გზელ სპეციალისტთა საერთა...რისო კონფერენცია საქონლის გადაზი...ის საკითხის განსახილველად.

სატრანსპორტო კომისიის მოხსენების ...ესახებ, კონფერენციის პლენარულ სდო...ზე გამართულ კამათის დროს შვეიცა...ის დელეგატმა განაცხადა, რომ ევ...პის სავსებით ღდგენის საკითხი ...ყონებლივ უნდა იქნეს გადაწყვეტი...ი. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსე...ის დელეგაციამ ყოველი ზომა იხმარა. ...მისიის მუშაობის ნაყოფიერებისათვის ...რომ საბჭოთა მთავრობა ყოველ ...ონეს მიღებს კომისიის დადგენილე...თა ცხოვრებაში გასატარებლად.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.

ბორდო. ბავარიის პრემიერმა ლერხენ...ლდმა განაცხადა, რომ რუსეთ გერმა...ის ხელშეკრულება წარმოადგენს პირ...ლ დახმარებას. რომელიც ღლოეჩინა ...რმანიას ომის შემდეგ.

1 მაისის დღესასწაული გენუაში.

...ანგა-მარგარიტა. 2 მაისი. 1. მაისს ...სეთის დელეგაციას არ მიუღია მონა...ლეობა კომისიის მუშაობაში, რაიც ...წყ კონფერენციის სეკრეტარიატს. ...ვეგა რომ 1 მაისის მუშათა მიტინ...ზე მოელოდნენ საბჭოთა დელეგატე...ს უეცარ გამოსვლებს, მაგრამ რადგა...ც დელეგატებს ვალდებულება აქვთ ...ი სთქვან ოფიციალური პროპაგანდაზე, ...ი შეძლეს გამოსულიყვნენ მიტინგებზე ...მისალმებოდნენ მუშებს. კომუნისტურ ...ეთებში დაბეჭდილია პატარა წერი...ა ჩიჩერინისა და რაკოვსკის, რომელიც ...ვეს 1 მაისის დღესასწაულის ის...ორიას და მისადმი საბჭოთა მთავრო...ს დამოკიდებულებას.

...ისალმებანი საბჭოთა დელეგაციას.

...ანგა-მარგარიტა. 3 მაისი. საბჭოთა ...ლეგაციის სახელზე გამოგზავნილ ...ეულ მილოცვათა შორის დამახასია...ელია იტალიის ციხეში მყოფ მუშა...ა და ნიუ-იორკის ჯარისკაცების მი...ცვა. აღსანიშნავია აგრეთვე მისალმება ...ენსკას დროინდელ ერთ თავლსაჩი...დიპლომატისა, რომელიც ესალმება ...ბარ დაცვას რუსეთის ინტერესებისას ...ევროპის ბურჟუაზიის გალა...ბიდან.

ახალი ამბები

— წ. კ. გ. ხაზოგადოების კრება. ...მაისს, დღის 12 საათზე, წ. კ. გ. ...ბინაზე (სასახლის ქ. № 5) დანიშ...ია წ. კ. გ. საზოგადოების რწმუნე...თა და მუდმივ წევრთა საზოგადო ...ება. განსახილველი საგნები: 1. 1921 ...ის გამგეობის მოქმედების ანგარიში. ...ალრევიზიო კომისიის მოხსენება გამ...ების მოქმედების შესახებ. 3. საზო...ოების გამგეობის არჩევა ახალი წეს...ით

— ქინაქინა ხამკურნალოსათვის. საგ...ბო ჯანმრთელობის კომისარიატის ...ტფილისის ქალაქის აღ. კომიტეტის ...მდგომლობით სახალხო კომისართა ...ჭმ დაადგინა: ეთხოვოს გარეკეპ...ას მისცეს ტფილ. ქალაქის ჯან...ელობის განყოფილებას კრედიტად ...კილო ქინაქინა. სამკურნალოში მა...ისთან საბრძოლველად.

— ვოლგის ბავშვები. ცალკე კავკ...ის რევ. სამხ. საბჭოსთან არსებულ...ვოლგის დამშეულთა დამხმარე კომი...ი შეუდგა 400 ბავშვის, რომელნიც ...ამოსულნი არიან ვოლგის სანაპიროე...ბიდან გადაყვანას 1 ქალაქის საავად...მყოფოდან (ყოფ. არამიანცისა) სურამში სადაც უკვე მონახულია ამ ბავშვებისა...თვის შინობა.

— ქურდობა. ქალაქის 6 კომისარიატის მილიციის მოსამსახურეებმა 30 აპრილს ეპვის მიტანით შეიპყრეს ვინმე ვასილ ჭუმასი 4 კამეჩით. გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს კამეჩები ჭუმას მოუტაცნია სადაურ ყარაიაზიდან ილია მარუაშვილისგან და ისევ მამედოლლიდან. ჭუმასი ქურდობაში გამოტყდა.

ამიერ კავკასიის სამხედრო სასწავლებლის მართველობიდან გაიტაცეს მბეჭდავი მანქანა, უნდერვუდის სისტემისა.

— საქართველოს ნავთსადგურებში. ბათუმის ნავთსადგურში 2 მაისს ჩამოვიდა გემები: ინგლისის „Egbus" და რუსის „ფელიქს ჯერჟინსკი" პირველი კონსტანტინოპოლიდან და მეორე ტრაპიზონიდან, რომელებმაც ჩამოიტანეს 350 ტონის ფქვილი და 54 მგზავრი. ჩამოვიდა აგრეთვე 8 იალქნიანი ხომალდი 48 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. იმავე დღეს ბათომიდან გავიდა 3 იალქნიანი ხომალდი. 12 საათზე დამით 2 მაისს ნავთსადგურში იდგა 7 გემი და 55 ხომალდი:

ფოთის ნავთსადგურში. ნავთსადგურში 3 მაისს ჩამოვიდენ: რუსის ხომალდი „რეი" 1500 ფ. ცემენტით და 35 მგზავრით.

— ჩაქვი. ამ დღეებში ჩაქვის სახალხო ძვირ ს ფასურ პლანტაციებში შეუდგებიან ჩაის ფურცლების კრეფას. მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოელიან 12000C გირვანქამდე მშრალ ჩაის შეგროვებას.

— აბარისტანი. სახალხო სამეწადმომქმედო კომისარიატმა კერძო მესაკუთრეებს დაუბრუნა ჩამორთმეული ჩაის პლანტაციები. მრავალ მესაკუთრეებმა ვერ მოასწრეს დამუშავება თავიანთ პლანტაციებისა, რომლის გამო მოსავალი ჩაის კარგი არ იქნება.

— ცეცხლი ერთს დღეს. 4 მაისს ტფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოვიდა 5 ჯერ სხვა და სხვა ადგილ, პირველი ცეცხლი გაჩნდა დილის 10 საათზე გ. უფრთხილებლობისა გამო ანდრეევის ქ. № 27 სახლში. ცეცხლი ემუქრებოდა თავანზე გადასვლას, სადაც ეწყო თივა. სამხედრო ხაწილისათვის. მაგრამ სასწრაფოდ მოსულმა რაზმა ცეცხლი დილის 11 საათზე სრულიად ჩააქრო.

მეორე ცეცხლი გაჩნდა 10 საათზე და 15 წუთზე დილით მელიქოვის ქ. № 5 სახლში აფეთქებულ სპირტისაგან ცეცხლი ჩამქრალი იქმნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსვლამდე.

მესამე ცეცხლი გაჩნდა ქალაქთაროვის სახლში ბორბლის ზეთის მკეთებელ ქარხანაში, რომელიც ეკუთვნის სამხედრო კოოპერატივს, რომელიც ჩაქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

მეოთხე ცეცხლი გაჩნდა ვაკეში ყოფილ სემინარიის შენობაში, სადაც გამოურკვეველი მიზეზით აენთო ხის კედელი ერთ ერთს ოთახში. ცეცხლი გაჩნდა დილის 11 საათზე 45 წუთზე ერთი საათის შემდეგ ცეცხლი ჩ მქრალი იქმნა ცეცხლის მქრობელი რაზმისაგან.

მეხუთე ცეცხლი გაჩნდა დღისით 5 საათზე გრიბაედოვის ქ № 25 სახლში. ცეცხლი სასწრაფოთ ჩ მქრალი იქმნა ცეცხლის მქრობელ რაზმისაგან.

ზაქარია ჭიჭინაძე.

(მოგონება)

ჩვენში იტყვიან: „ვისაც ჩემი საუბუკე არ უნახავს, იმას ღმერთმა ჩემი მოხუცებულობაც ნუ აჩვენოსო". ზაქარიაზე ეს სიტყვები ზედგამოჭრილია,

1879 წ., სექტემბრის თვეში, თექვსმეტი წლის არ ვიყავი, როცა სს. სემინარიის პირველ კლასში მიმღეს. სწორეთ ამ დროს გავიცანი ზაქარია, რომელსაც ქართული წიგნების მაღაზია ჰქონდა გამართული ლორის-მელიქოვის ქ., ალექსი-მესხიშვილის სახლში. ამ წიგნის მაღაზიის გვერდზე იყო მოთავსებული კარგათ გაწყობილი სტამბაც, რომელიც არსენ კალანდაძისა და დრეიჩს ქონდათ გამართული. 1877 წ. ზაქარია, გრიგოლ ჩარკვიანი, არსენ კალანდაძე და დრეიჩი (დედით ქართველი), შეამხანაგებულიყვენ და დაიწყოთ სტამბისა და ქართული წიგნების მაღაზიის ცოცხალი საქმე, რაც სრულიათ ახალი საქმე იყო იმ დროს საქართველოში.

ვერც ერთი დღეინდელი ქართველი ახალგაზდა ვერ წარმოიდგენს იმ თავთავდადებულ შრომას და ღვაწლს, ჩვენი ქვეყნის იმ საკეთილდღეო საქმისთვის უდიადესი ენერგიის დანიპის დახარჯვას, რაც ზაქარიამ მიიტანა მშობელი საქართველოს დემოკრატიის საკუთხეველზე...

ეს არა ჩვეულებრივი ქართველი მოღვაწე გვიცანი თუ არა, იმ წამსვე მიიქცია მან ჩემი ყურადღება თვისი ცოცხალი, ეკვიანური სახის მოყვანილობითა და აგებულობითაც პატარა, ტანჩია კაცი, რომელსაც მაღალი შუბლი, შავი თვალწარბი, გძელი წაიწამები და არწივისებური ცხვირის მოყვანილობა უმტკიცებდა, რომ იგი დიდი ენერგიისა და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო. ერთ წუთსაც ტყვილა-უბრ ლოთ იმას გაჩერებულს ვერ ნახავდით. იგი ან წერდა, ან ასწორებდა ნაწერს, ან კითხულობდა, ან კარეტურას უჯდა და სტამბაში გარბოდა, ან ცენზორის კომიტეტში გაიქცეოდა, ან გაზ. „დროების" რედაქციაში, სერგი მესხთან დასაბეჭდათ მიქონდა წერილები საქართველოს ისტორიიდან. ამავე დროს მასთან მაღაზიაში შემოდიოდენ ქართული ახალი, ლორძინებული ლიტერატურის დიდი და თვალსაჩინო მოღვაწენი: აკაკი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი რაფაელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ფურცელაძე, ანტონ ფურცელაძე, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ვახტანგ თულაშვილი და სხვანი. ყველანი გულიდან ამონაღები განზრახვები, საუკეთესო მისწრაფებანი ხელის გულივით ზაქარიასთან გამოაშკარავდებოდა და არა ერთი და არა ორი წელიწადი უხვერპლია ზაქარიას ამ საუკეთესო მისწრაფებათა გ ხორციელებისათვის, როდესაც ეს დაუშრეტელი ენერგიისა და ნიჭის ადამიანი დღე დამ საზოგადო, საქვეყნო საქმეს უტრიალებდა და თავს ევალებოდა...

სემინარიაში ჩემს დროს კუშინსკის რექტორი იყო გამაფეხებული. იგი იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი მტაოვალი და ქართველობა ძულდა საშინლათ. იმის დროს ქართული წიგნი, ასე გაშშინჯეთ, არსენას ლექსი და ყარამანიანიც ვერ გაიპარებოდა სემინარიაში.

მოხდა ისე, რო თავზე ხელი ავიდეთ და, რაც უნდა მწარეთ დაგვჯდომოდა ეს შეუპარობა, გადავწყვიტეთ პირველ კლასშივე დაგვეარსებინა ქართული წიგნების წიგნთსაცავი. ამხანაგებს შორის 150 მანეთამდი ფული მოვაგროვეთ და ზაქარიას მივუტანე. ზაქარიამ, რაც კი წიგნები მოიპოვებოდა იმ ენათ ქართულ ენაზე დასტამბული, სულ ყველა გადმომიწყო და დიდათ ხელი შემიწყო ბიბლიოთეკის გამართვაში.

ერთხელ, ზაქარიამ მთხოვა: წამოდი ჩემს სახლში, დედაჩემს გაგაცნობო.

იმ დროს, ზაქარია იდგა თავის საკუთარ სახლში, რომელიც მთაწმიდაზე, ჭავჭავაძის ქუჩის სულ ზევით იყო მოთავსებული და იმას იქით პირ და პირ მთა იწყებოდა. დასავლეთის მხარეზე ზაქარიას მეზობელი არ ყავდა. მგონია, კვირა დღე იყო. ოთახში ბევრი თუ არა, წინ შეგვეებება ერთი ხნიერი, მარა ჯერ კიდევ კარგათ შენახული, თეთქმის ახალგაზდა მანდილოსანი. მის მარილიანს და გულ ღია სახეს გულწრფელობის და სათნოების ბეჭედი ჯდა.

— მობძანდით, შვილო, მობძანდით. ჩემი ზაქარიას მეგობარი ბძანდებით, როგორც თქვენს საკუთარს სახლში, ისე მოიქეცით.

ზაქარიას დაუვიწყარი დედა ხანუმა *) პირ მცინარი სახით, მხიარულათ მომეგება, ხელი ჩამომართვა და სკამზე დამსვა.

— აბა, დედი, ჩვენ მალე ისევ უკან უნდა გავბრუნდეთ და შენ დაუჩქარე, პური გვაჭამე. ზაქარიაც ამ დროს ფუსფუსებდა ჩვეულებრივათ, საქმეს აკეთებდა და თან ჩუმ-ჩუმათაც სანდომიანი, ლამაზი ღიმილი ეხატებოდა სახეზე.

მე გულ დასმით დავათვალიერე ზაქარიას სახლ-კარი ეზო-გარემო, საიდანაც დედათ მომხიბვლელი სანახაობა ეხატებოდა კაცის თვალს. პირ და პირ ჩვენს სწორათ, გალმა მოჩანდა მახათის მთა, სულ შორს დანთქმულიყო მდიდარი გარეთ კახეთის არე-მარენი, დიდუბე, ვოგზალი და თელათ კუკიის მხარე. დასავლეთით კი აყუდებულიყო, იქვე ჩვენს უკან, კლასიკური, ქართველი მგოსნების საყვარელი მთა წმიდა, ნიკ. ბარათაშვილის „მთა ბუნდოვანი", საიდანაც გრილი ნიავი მუდამ ქროდა და ადამიანის გულს ალხენდა...

ზაქარიას სახლში ორი დიდი ოთახი სულ ძვირფასი წიგნებით იყო გავსებული. რუსული და ქართული ლიტერატურისთვის სულ აქ მოეყარა მას თავი. ასე წოდებული, „პოდპოლნაია ლიტერატურაც" სულ აქ იყო შექუჩებული და, აბა, ამზე უკეთეს ადგილს ჩემი თვალი რაღას ნახავდა. ამიერიდან ეს ადგილი შევივვარე, როგორც სასოება, როგორც საკუთარი მამული დედული და ხშირათაც ვისტუმრებოდი ხოლმე ჩემთვის ტკბილათ მოსაგონარ ხანუმას.

— წ-ვ-დეთ, რომანოზ! შემდეგ, შამომძახა ზაქარიამ და ხანუმას გამოვეთხოვე.

— ხშირათ მოძძანდებოდეთ ხოლმე, როგორც თქვენს საკუთარ სახლშია—ალერსით მითხრა ხანუმამ გამომშვიდობებისას.

დიდი და ღრმა ჩაბეჭდილება დატოვა ჩემს გულში ხანუმას ამ პირველმა გაცნობამ. ზაქარიას დედის მოქცევამ ნამდვილი დედაშვილური ძლიერი გრძნობა გამოიწვია ჩემში და გულით შემიყვარდა ეს დარბაისელი ქართველი მანდილოსანი, რომელსაც თვისი ერთად ერთი სანაქებო ვაჟისათვის დედის რძესთან ერთად უწოვებია ქართველების დრმა, ძლიერი სიყვარული და უნაგრო, თავდადებული საქვეყნო შრომა სათვის სამსახური.

ზაქარია მამ თ ადრე დაობლებულიყო და, მაშასადამე, მის მამას ვერც ვნახავდი. აზნაურს ეგნატე ჭიჭინაძ ს რაჭაში კაცი შამოკვდომოდა და ქალაქში გამოქცეულიყო. აქ იგი დაქორწინებულიყო და აქვე გაჩენოდა მას ერთად ერთი ვაჟი—ზაქარია.

სახითა, კეთილშობილური და სათნო ხასიათით ზაქარია ნამდვილი დედა იყო და ჩვენი დიდი მოღვაწის შრომისადმი გაუტეხელი სიმტკიცე და თავდადება ჩამომაყალიბითი ნაყოფი, მემკვიდრეობით უნდა იყოს (მამიდან—რაჭელი კაცის შრომისადმი სიმტკიცე და მუშაობის საოცარი უნარი) და დედის გავლენაც ეტყობოდა ვაჟვეოფერში.

ზაქარას წყალობით, სემინარიაში ხუთი წლის განმავლობაში, კარგათ გავიცანი ქართული ლიტერატურა და ისტორია ზაქარიას დიდი გულწრფელი საუბრები ქართული მწერლობის აყვავებისა და ალორძინების შესახებ არ დამავიწყდება ჩემს დღეში. ზაქარიამვე ღრმათ შემაყვარა დიადი ტრიალიზმით სავსე საქართველოს ისტორია და პირადათ გამაცნო ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე და მის ოჯახშიაც დავყავდი, ანტონ ფურცელაძე და მისი ოჯახობა, დიმიტრი ფურცელაძე, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო მარი ანარხისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვანიც.

წიგნების კითხვა და თხუზულებათა ვრცლად წერა ქუთ. სასულიერო სასწავლებლიდანვე მქონდა შეყვარებული სასწ. ზედამხედველის, მიხეილ იოსების ძე ასათიანისგან (ჩვენი განთქმული პროფესორის მიხ. მ. ასათიანის მამა იყო), რომელსაც ნამეტანი ვუყვარდი და ყოველთვის მაქებდა...

ახლა ზაქავიას მდიდარი ბიბლიოთეკა რო ვნახე, სულ თლად რუსული წიგნების კითხვის დაუშრეტელ წყურვილად გადავიქეცი წყალობით, ზედმიწევნით გავიცანი რუსეთის 60-იანი წლების, ასე წოდებული „ადამიანთლებელთა" მწერლობა. რადაც გულის დაუდგრომელის სიხალისით ვეტანებოდი ფარული, საიდუმლო ლიტერატურის გაცნობას და ზაქარია ყოველთვის მაძლევდა წასაკითხათ გერცენის „კოლოკოლს", სადაც დასტამბულიყო ჩვენი დიადი კრიტიკოს პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის სტატია: „მოლადაია გრუზია". სულ გადავიკითხე პეტრე ლ ვროვის ჟურნალი—„ვპერიოდი", „ზემლია ი ვოლია", „ჩორნი პერედელი", „ნაროდნაია ვოლია" და სხვანი *).

ზაქარია აძლევდა წასაკითხავათ ფერდინანდ ლასალის ორ ტომათ დასტამბულს ნაწერებს, ბეხერის წიგნს „რაბოჩი ვოპროსს", პავლინკოს მიერ გამოცემულს წიგნებს, ნ. ჩერნიშევსკისავე სტოლიუბით გამოცემულს ჯონ სტიუარტ მილის პოლიტიკურს ეკონომიაე, მარქსის ბიოგრაფიას და მისი წიგნის „კაპიტალის" პირველს ტომს.

ამასთანავე მაძლევდა ბევრ სხვა წიგნებს პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალური საკითხის შესასწავლათ და დარვინის ნაწერებსაც გადამიყვანა. სემინარიის მეოთხე, ფილოსოფიისა და ფსიხოლოგიის კლასი რო გავათავ, მე და ჩემს ამხანაგს—პეტრე ჭარაიას გულით გვინდოდა სემინარიის თავის გაენებება და უნივერსიტეტში შესვლა. მარა ეს ვერ მომიხერხდა და შევრჩი ისევ საღვთისმეტყველო კლასებს... ხუცებათ რომ ამზადებენ. სემინარიის ამ კლასებში ზაქარიამ წასაკითხავათ გადმომცა ჩ. დარვინის—„პროისხოჟდენიე ვიდოვ" და „პროისხოჟდენიე ჩელოვეკა".

ჩამოთვლილი წიგნების ახლო გაცნობამ მეცა და ჩემს კეთილსაიმედო და თვალსაჩინო ამხანაგს, რასაკვირველია, თვალები აგვიხილა და დავადექით სემინარიელთა შორის, რომელიც ...ულ 700-დი იყო, თვით გავითარების წრეების დაარსებას, რომელსაც ... სემინარიაში და თვალ საქართველოშიაც მტარვალი და ლოთი ალექსანდრე 3 რომანოვის შავ-ბნელ მეფობის დროს მოყვა დიადი, შენიშნავი ამბები...

ღღეს შემიძლია გაბედვითა და ჯულიათ ალვიარო, რო ამ დიდი ამბების დასაბამი, პირველი ცოცხალი წყარო იყო ჩვენი დიდსულოვანი ზაქარია...

თუმცა მე, სემინარიის რუსთ ბერების ეკუთით, ასეთი „ბოროტი სული" გახლდით, მარა ყოფაქცევაში სულ მუდამ წარჩინებული ბალი (5) მქონდა, საგნებშიც უპირველესი შეგირდთაგანი, მე და ბესარიონ ხელაია (ახლანდელი სრულიად საქართველოს უნიპერესი კათალიკოზი) თითით საჩვენებელი ვიყავით...

და მოხდა სწორედ ისე, რო სემინარიის რექტორმა—ჩუდეცკიმ და ექსარხოსმა პავლემ სემინარიიდან გამორიცხეს, ყოფაქცევაში სამი დამისვეს და ყოველ საგანშიაც ათთო „ედინიცა" მოაკლეს, რაღა გავაგრძელო, მომეცეს პირდაპირ „ვოლჩი ბილეთი" და გამოთხოვების ქმს, ჩუდეცკიმ თავიდ კაბინეთში მწარე დაცინვითაც მითხრა: „შიროკა-ბრატ, რუსკია ზემლია, ადი ი გულიაო"...

ჩემი ზაქარია, ჩემი გაჭირვებული ცხოვრების მუდამ ტალკვესი აქაც ჩემი მწეველი, ჩემი მხსნელი შეიქნა...

1884 წ., ზაფხულის კანიკულების შემდეგ, დედა ქალაქში რო ჩამოვ დი, მან თავის სახლში ბინა მომცა, სადაც დაუვიწყარი დედა ხანუმა შეგნიერს სუფთა ნოყიერს სადილს გვაჭმევდა. ზაქარიასას გადმოვაქართული გერმანეთის სარვინისტის—გეკკელის ნაწარმოები—„ინსტიკტი, დარვინის თეორიის შეხედულებით", რომელიც ზაქარიამ დასტამბა და გამოსცა თავის ხარჯით. ამგვარი შინაარსის წიგნის დასტ ბვა და გამოცემა პირველი ამბავი იყო ჩვენში და ამით მან ძალიან წამათამამა და გამამხნევა.

ამ დროს, პეტერბურღიდან ქალაქში ჩამოვიდა ნიკო ნიკოლაძე, რომელსაც კავკასიის იქითა მხარის რკინის გზის სამართველოში დიდი პროტექციის გაწევა შეეძლო და ზარიამ ნიკოსთან წამიყვანა „კავკაზის" სასტუმროში. აქ ზაქარიამ გამაცნო ნიკო და გიორგი წერეთელი და ჩემი ამბავიც უამბო მათ.

იმ წამსვე ნიკომ ბარათი დასწერა, მომცა ხელში, ამიხ ნა ყოველივე თუ სად უნდა წამელო და როგორ მოვქცეულვიყავი.

მალე ტფილისის ვოგზალზე „კონტორშჩიკის" ადგილზე დამნიშნეს. ზაქარიას, თურმე, მეორეგანაც ქონებოდა ჩემთვის ნათხოვნი ადგილი. გაზ. „დროების" რედაქტორის—ვინო მაჩაბლისთვისაც*) ეთქვა ჩემი ამბავი.

ზაქარიამ წამიყვანა შაქრო ჯორჯაძესთან (ვათქმული სპეციალისტი მელვინე იყო), რომელსაც თფილისში მდიდარი კახური ღვინის ფირმა ქონდა მოწყობილი ამ ფირმას კარგათ გამართული განყოფილებანი ქონდა: პეტერბურღსა, მოსკოვსა, ვარშავასა და ადესაში. შაქრომ მიმიღო „ვინადელის" თანაშემწის ადგილზე და, ვაგზალზე სიარულს, იქ ვამჯობინე ჩადგომა.

რამდენიმე თვის შემდეგ 1885 წ. აგვისტოში, შაქრო ჯორჯაძემ ადესის განყოფილება ჩ მ ბარა და იქ გამისტუმრა. ამნაირათ, ჩემი გულის წადილი ავისრულე: საუნივერსიტეტო ქალაქს მოვხვდი საცხოვრებლათ, სადაც ჩემი ცხოვრება ყოველიფრათ კარგათ და წარმატებით წავიდა.

ჩვენში იტყვიან: ამდენი სიკეთისათვის, სამაგიეროს თუ მე ვერ გადაგიხდი, ღმერთი გადახდისო.

და მეც ეს სიტყვები უნდა ვუთხრა დღეს ჩვენს მხცოვანს იუბილიარს. ჩემი ხელმოკლეობის გამო. თუ მე სამაგიერო ვერ გადაგიხდი, ჩ მო კარგო, ჩემი ღმერთი—ქართველი დემოკრატია გიხდის დიდსა და მდიდარს ღღესასწაულს და მეც მთელი ჩემი არსებით სიამეს და ნეტარებას განვიცდი.

ხომლელი

*) ზაქარია დედას „ხანუმას" ეძახდა, ხანუმა ქალბატონს ნიშნავს.

*) ნუ გაგიკვირდებათ, რომელი ფარული ლიტერატურის საწყობი ქონდა ზაქარიას. ფარული სიიდგმლო სტამბაც ამას ეგარა შესანახავათ.

*) ვინო მიცნობდა მე. მის გაზეთში დავსტამბე ერთი სტატია კრიტიკოსის—ბოსლოვილის მოკვლის შესახებ", რომელიც ცენზურამ დაიჭირა.

№ 7

ახალგაზრდათა ხმა

ეროვნული № 7 ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოვა ხუთშაბათობით.
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი „ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრედვე ზედ უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

ჩვენი კონფერენცია

1 ივნისს ქუთაისში შეიკრიბება ჩვენი კონფერენცია. ეს კონფერენცია. ეს კონფერენცია მეტად ენერგიულად უნდა იქნეს ჩატარებული; ჩვენი ცხოვრების მრავალი საკითხი, რომელიც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკისა მოითხოვს შეფასებას და ნათელი გზის გამომუშავებას.

ამასთან ერთად, კონფერენციას უნდა ექნეს უაღრესად ორგანიზაციული მნიშვნელობა, რომელმაც უნდა შესძლოს ერთ ორგანიზაციული ერთეულში თავი მოუყაროს სხვა და სხვა ორგანიზაციები, რომელნიც დღეს მჭიდროდ ვერ არიან დაკავშირებულნი.

ჩვენ კონფერენციას ირგვლივ შემოკრებება ეშმარიტი სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა ღრმა რწმენა და მტკიცე ნებისყოფა არ იმსხვრევა დღევანდელ რთული და მძიმე პირობების გამო. არჩილის რევოლიუციონური ანდერძი იქნება მასულდგმულებელი ჩვენი კონფერენციის მუშაობის და ქართველი ახალგაზრდობა ვერასოდეს ვერ განიკურნება იმ სენისაგან, რომელმაც ეწოდება საღად გაგებული სოც.-ფედერალიზმი.

პროვინციელმა ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა შეუდგნენ საკონფერენციო მუშაობას. არც ერთი ორგანიზაცია არ უნდა აირჩეს, რომელიც თავის სიტყვას ვერ იტყვის კონფერენციაზე

მრავალი საკითხია კონფერენციის. პროგრამაში დასმული, რომელსაც უდიდესი თეორეტიული და ორგანიზაციული მნიშვნელობა ექნება ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

ახალგაზრდობა ეს ხომ თავის თავად მომავალია, რომელიც უშიშრად მხნედ, შეუპ-ვრად მიექანება თავისი მიზნისაკენ. ჩვენმა ახალგაზრდობამ არა ერთხელ დაამტკიცა თავის რაინდული ბუნება ყოველ ფრონტზე იგი კვლავ შესძლებს მედგრად წინსვლას სოციალისტური წყობილებისა და საქართველოს თავისუფლებისაკენ.

ჩვენი ხმა

მას შემდეგ, რაც კაკობრიობა გასცდა ველური ცხოვრების პირობებს და კულტურის გზაზედ შესდგა, აზრთა სხვა და სხვაობის მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

საზოგადოებრივ წიაღში არსებული ჯგუფები, წრეები და სხვა და სხვა ნაწილები ამა თუ იმ განსაზღვრულ მიზნებს ისახავენ და ამდენათვე მათი ხმა ქართველი ახალგაზრდობისათვის არ იქნება უცხო, რამდენადაც მისთვის უცხო არ არის სოციალ-ფედერალიზმის ისტორია, მისი თეორია და პრაქტიკა მთელი მეოთხედი საუკუნის განსწვრივ. მაგრამ დღეს არ ეკითვად ყველაზედ უფრო ურთულესი მომენტის წინაშე ვდგევართ ვიდრე ოდესმე. ჩვენს წინაშე მეტად დიდი ისტორიული მომენტია გადაშლილი და ჩვენც, როგორც უაღრესად დაინტერესებულთ ამ მომენტის მნიშვნელობაში ვცდილობთ ერთგვარი მოქმედება ვაწარმოოთ და ავიღოთ ის პოლიტიკური გეზი, რომელიც მეცნიერულ გზას დასახავს ეროვნული კულტურის აყვავების შესაძლეობისა და ქართველ მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

ჩვენ უაღრესი სიყვარული გვაქვს ჩვენი მრავალ ტანჯული ქვეყნის. თუ ვინმეს შეუძლია განიცადოს მტკივნეულობა ერის წყლულების, ეს ყველაზე უფრო დიდი ხარისხით ევლინება ჩვენს ახალგაზრდულ ბუნებას, რომელიც გარეშე ყოველივე ქვენა გრძნობისა, კარიერისა და ანგარებისა ეცდილობთ ერის სამსხვერპლოზედ მივიტანოთ ყოველივე ის რის ძალა და ღონე შეგვწევს.

მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ შეიძლება დიდი პატრიოტული მოსაზრებანი ჰქონდეს, შეიძლება თავგანწირული მამულიშვილობა გასულდგმულებდეს, მაგრამ ისეთ პოლიტიკას დაადგე, რომ არსებითად დაამსხვრიო ის სამლოცველო, რომლის საკურთხეველზედ მიგაქვს წმიდა შესაწირავი. ამიტომ საჭიროა გავითვალისწინოთ მთელი გარემო, შევაფასოდ არსებულ ძალთა განწყობილება, გავსინჯოთ ისტორიის მაჯისცემა და ავიღოთ ისეთი დიაგნოზი, რომელიც საუკეთესო რეცეპტს მიგვცემს ჩვენი მიზნების განხორციელებისათვის.

როგორია თანამედროვე მომენტი?

ჩვენ ვამბობთ, რომ თანამედროვე მომენტი გადამავალი პერიოდის დასაწყისია.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტურმა კულტურამ გაიარა თავისი განვითარების ციკლი და დაიწყო მისი დაკნინება. რასაც უნდა მოყვეს სოციალისტური კულტურის აღორძინება.

ეს არის მთავარი ძარღვი თანამედროვე მომენტისა, რომელზედაც გვევლინება ათასგვარი პოლიტიკური კომბინაციები. ამ ხლართში ვეძებთ ჩვენ საქართველოს თავისუფლებას, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას. ქართველი ახალგაზრდობა ვერასოდეს ვერ ასცდება იმ დიდ მიზანს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. იგი მტკიცედ დადგება საქართველოს სადარაჯოს ყოველ ფრონტზე.

ჩვენი გზა დაშორდა მემარჯვენეთა გზას, მაგრამ ეს მით უკეთესი. ახალი ცხოვრების მოახლოვების იმედი ენერგიას მოგვცემს და მტკიცე ნებისყოფა სიძნელეს დაგვაძლევინებს.

ჩვენი ხმა არ უერთდება ზოგიერთ „სოციალისტთა და „პატრიოტთა ხმას, მაგრამ იგი უერთდება საქართველოს ინტერესებს...

ალი.

სტუდენტთა საკითხი.

დღეს ეს საკითხი,—საკითხი ჩვენი სტუდენტობის ყოფა ცხოვრებისა,—თითქმის საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე დადგა სავსებით. უნივერსიტეტის დაარსების დღიდან სტუდენტობის საკითხის გარშემო გამართული მსჯელობა და დავა დღესაც ისევ გადასაწყვეტის ხანაშია და მას დასასრული არ უჩანს.

არ იქნა და ვერ მოიწყო ისე, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისათვის შექმნილიყო ისეთი პირობებით exsistensminimum ი არსებობისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო, დაახლოებით მაინც ნორმალური მუშაობისა წარმოება. მენშევიკურ მთავრობას ხომ ნამდვილ გერებად ყავდა მიჩნეული სტუდენტობა და ოდნავ მზრუნველობას არ იჩენდა მისადმი. მდგომარეობა არ შეცვლილა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა შემდეგაც და დღეს, როდესაც უკვე ნახევარი წელი გადის მას შემდეგ, რაც სტუდენტთა ორგანიზაციის სათავეში ხელისუფლების წარმომადგენლნი სხედან, შე ძლება თამამად ითქვას, რომ მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა

ჩვენ, ისევ უბრუნდებით სტუდენტთა საკითხს,—რომელზე მსჯელობაც და რომელიც მოსმენაც უკვე საკმაო მოსწყინდა ჩვენს საზოგადოებას და აკადემიურ წლის დასრულების წინა დღეებში კვლავ მივიპყროთ ხელისუფლების და საზოგადოების ყურადღებას მასზე. ვისაც არ უნდა მიჩვიოს ეს ზედმეტ და უსარგებლო საქმეთ; ვისაც არ უნდა ჩაიქნიოს ხელი სტუდენტობის კვლავ გახსენებაზე, ჩვენ, ახალგაზდათ, საგანგებო პირდაპირ ვართ დაინტერესებული და დაკავშირებული ამ საკითხთან,—ჩვენ თავსატეხ და საფიქრალად გვექნა ის მდგომარეობა, რომელი შექმნილი არის სტუდენტების საკითხის გარშემო.

ყველას უნდა ესმოდეს და ყველამ გაიგოს, რომ ეს საკითხი სდგას, არა რამოდენიმე ასეული და ათასეული მშიერის გამოკვებისა; არა საკითხი, რომელიც პირადი ქველმოქმედებით და ფილანთროპიით გადაწყდება, არამედ საკითხი კულტურის, დღის მომავლის, მისი შემოქმედების; საკითხი რომლითაც უშუალოთ უნდა იყოს დაინტერესებული სახელმწიფო და რომელსაც უდიდესი გრძნობით და სიფაქიზით ეპყრობოდეს საზოგადოება.

დღეს ყველა ერის ქომაგი არის; ყველას ერი ტკივილები აწუხებს, ყველა პატრიოტია. კიდევ მეტი: დღეს ყველა ალიქმის ქვეყანას ამყარებს, სასუფევლისთვის იბრძვის მაგრამ ვინ არ უნდა იცოდეს, რომ ხალხის, ერის ბედი და მომავალი, მისი ეროვნული, ენერგია და პოტენცია, იქ იქნება სადაც ახალი თაობა იზრდება, სადაც მომავალი ბრძოლისათვის ახალი რაზმები ეწყობა. ჩვენში ამ ჟამად მრავალი საბავშო ბადეებია მოწყობილი,—ეს არის უდიდესი საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა. მაგრამ საკითხავი არის. რა დააშავა იმ თაობ მ, რომელიც მეცნიერების ტაძრამდი მისულა, ცხოვრების შუა გზაზე დამდგარა და სადაც ერის ეროვნული ცხოვრების და შემოქმედების ერთ ძლიერ ფაქტორათ გადაიქცევა.

რაში არის საქმე?! როგორი იყო და არის სტუდენტების მდგომარეობა; რა შეიძლება გაკეთდეს მათი მდგომარეობის გასუჯობესებლათ და როგორი პირობების შექმნაა შესაძლებელი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის.

ახალგაზდა გ—ა.

ახალგაზრდათა კონფერენცია.

საქ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარ. პარტიის დრ. ახალგაზრდათა კავშირი 1 ივნისისთვის ქ. ქუთაისში იწვევს ახალგაზრდათა კონფერენციას.

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენება ახალგაზრდათა დრ. ჯგ. კავშირის.
2. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
3. არჩილ ჯორჯაძე და ჩვენ
4. ახალგაზრდათა მოძრაობა და ახალ ორგანიზაციის საკითხი.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. წესდების დამტკიცება.
7. კავშირის გამგეობის არჩევნები

კონფერენციაზე დელეგატები იგზავნებიან წესდების 4 მუხლის თანახმად 50 კაცზე ერთი დელეგატი. სადაც წევრთა რიცხვი ნაკლებია, მაინც სარგებლობს ერთი დელეგატის უფლებით.

ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ აღძრან სხვა და სხვა საკითხი კონფერენციისათვის 20 მაისამდე.

გულუბრყვილობა თუ ავანტიურა

საქართველოს პრობლემა ერთი უმთავრესი პრობლემაა დღეს ჩვენი საზოგადოებისათვის. ვინ გინდა, რომ ეროვნულ სუვერენობას არ ეტმასნებოდეს, ნიჰილისტი, ავანტიურისტი, გულწრფელი პატრიოტი და მამულიშვილი ყველა ერთს გაიძახის, ყველა საქართველოს თავისუფლებაზე ლაპარაკობს.

რა არის ამის მიზეზი?

ამ გარემოების მიზეზი გაცილებით ღრმა და რთულია, ვიდრე ერთი შეხვედით შეიძლება მოგვეჩვენოს.

მართალია ყოველი ჯურის „პოლიტიკოსი“ ცდილობს ეროვნული სუვერენების დაცვით ხალხის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ თვით ფაქტი, რომ პოლიტიკურ სპეკულიაციის საგნად ეროვნული თავისუფლება გამხდარა ბევრს რამეს ამბობს თავის-თავად.

იმპერიალისტური რუსეთის ბატონობამ საქართველოში ბუნებრივად წარმოშვა ნაციონალურ მიმართულების უკიდურესობა, რომელიც აღმოცენდა ყოველივე რუსულის გმობის ნიადაგზე.

ასი წლის მონობა კულტურული ერისათვის საკმაო იყო, რომ მთელი საშინელება მონისა შეეგნო და ბატონის წინააღმდეგ შეურიგებლად აემხედრებია.

ქართველის შემეცნებაში „დიდი რუსეთი“ განსახიერებაა სიტლანქის, ძალმომრეობის, უსამართლობისა და მონობის.

დღეს როდესაც ძველი რუსეთის ნაცვლად ახალი რუსეთი გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გასაკვირი არ არის რომ პატრიოტულად განწყობილი მასა რაღაცას ეძებდეს და ვიღაცისგან მოელოდეს შველას.

ვაშინგტონის კონფერენციის პროცესში ბევრს იმედი აღეძრა, რომ დადგებოდა ხანა მენშევიკური ძალის რესტარვაციისა. კანის კონფერენციაც იმედის აღმძვრელი იყო ჩვენი საზოგადოების ნაწილისათვის. დღეს როდესაც გენუას კონფერენცია მუშაობს, რომელშიაც რუსეთიც იღებს მონაწილეობას ეს იმედი კულმინაციურ წერტილს ახწევს და იწყება რაღაც ხმაური.

ჩვენთვის ვოლიუნტარიზმი პოლიტიკაში მიუღებელია. ჩვენ პოლიტიკურ საკითხებს ვარკვევთ არა იმის მიხედვით თუ რა გვსურს ჩვენ, როგორია ჩვენი სიმპატია, არამედ ისე, როგორც ამას გვიკარნახებს პოლიტიკაში მომქმედ ძალთა კოლიზია და ობიექტიური პირობები.

ასეთი განხილვა პოლიტიკური საკითხების აუცილებელია ყოველი პოლიტიკოსისათვის და მათვის, ვინც პოლიტიკურ ბრძოლის პროცესში მესამე ხარისხოვან როლს მაანც ასრულებს.

როგორია დღეს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება? რას გვეუბნება იგი?

ბევრი ფიქრობს, რომ გენუას კონფერენციით „განთავისუფლება“ საქართველო.

ასეთი პოლიტიკური ფილოსოფია შედეგია გულუბრყვილობის.

გავითვალისწინოთ საერთოდ პატარა ერთა **სურვილი** ამ ერთა საკითხის გადაწყვეტისათვის და ის ძალთა განწყობილება, რომელ[illegible] დღეს რაიმე გავლენას ახდენს საქ[illegible]რთველოს პრობლემის გადამჭრ[illegible] ფაქტორებზე.

ჩვენ არა ერთხელ გვიქვამს, რ[illegible] ჩვენი ქვეყნის საკითხი წყდება [illegible] ტფილისში, არამედ ტფილისა[illegible] საქართველოს გარედ, არა ერთ[illegible] გვითქვამს, რომ საქართველოს [illegible] ვისუფლებას დამოკიდებულია [illegible] მარტო ქართველი ხალხის თავ[illegible] წირულ გმირობასა და მამულიშ[illegible] ლობაზე, არამედ უფრო დამოკიდ[illegible] ბულია ლონდონის, პარიზის, მ[illegible] კოვის და სხვათა კაბინეტებზე, [illegible] ერთხელ გვითქვამს, რომ პატ[illegible] ერთა თავისუფლება შედეგია [illegible] მარტო თვით ერის შინაგან ძალ[illegible] კონსოლიდაციის, არამედ საერ[illegible] შორისო პოლიტიკის ინტერესებ[illegible]

ცხადია ეს ანორმალური მდგო[illegible] რეობაა, ეს უსამართლობაა, ვ[illegible] გობაა და სხ. და სხ. მაგრამ ფაქ[illegible] მაინც ფაქტად რჩება. პოლიტიკ[illegible] კი ოცნებათა პოეზიას კი არ უ[illegible] მისდევდეს, არამედ ფაქტთა პრო[illegible] ბატონი უნდა იყოს.

რას გვეუბნება ფაქტები?

ისტორიული მოვლენები, ფაქ[illegible] ბი, პოლიტიკური ისტორია მ[illegible] ლოდ იმას ჩაგვჩიჩინებს, რომ [illegible] ერთაშორისო პოლიტიკა სწყვ[illegible] პატარა ერთა საკითხს და პატ[illegible] ერის „ნება-სურვილი“ არ არის [illegible] წიდარი მისი თავისუფლების [illegible] ტკიცებისა.

ჩვენ შეგვიძლია მივიღოდ რ[illegible] უნდა ვიბრძოლოდ, რომ მისაღ[illegible] აკმაყოფილებდეს მაქსიმალთრად ჩვ[illegible] ინტერესებს. უნდა შევეცადოთ [illegible] ველივე უარყოფითი მხარენი ჩ[illegible] ვაშოროთ და დადებითი კი განვ[illegible] ტკიცოდ, მაგრამ უმთავრესი და[illegible] ყრდენი ჩვენი პოლიტიკისა უნ[illegible] იყოს ის თუ საით მიგვაქანებს [illegible] ერთაშორისო პოლიტიკის გეზი.

გენუაში საქართველოს საკით[illegible] ოკვე მოიხსნა. ამ ცნობას, რა თ[illegible] უნდა არ იჯერებს „მორწმუნენი“ [illegible] მაგრამ არც ვაშინგტონის ცნობ[illegible] იღებდა ეს ხალხი და არ ჯერო[illegible] მისი სასაცილო კომბინაციები.

არსებითად გენუაში საქართ[illegible] ლოს საკითხის სხვაგვარი გადაწყ[illegible] ტა შეუძლებელი იყო. კაპიტალ[illegible] ტურ ქვეყნებს რუსეთთან სურ[illegible] ეკონომიური კავშირის აღდგენა [illegible] საქართველო არ შეიძლება გახ[illegible] სადავო საკითხად, რომელიც ჩ[illegible] ლის ან ჩაშლიდა გენუას კონფერ[illegible] ციას.

მიუხედავად ამისა და მიუხედავ[illegible] იმისა, რომ არც ერთი წინასწ[illegible] მეტყველება მემარჯვენე წრეებ[illegible] არ გამართლდა საბჭოთა წყობილ[illegible] ბის დამყარებიდან დღემდე და ა[illegible] მომავალშია მათი გამართლ[illegible] პრესპექტივები, ისინი კიდევ [illegible] ცხრებიან და ცდილობენ რაღ[illegible] ჩხირკედელობით ხელი შეუშალ[illegible] სახელმწიფოებრივ ცხოვრების წ[illegible] მატებას.

რას ნიშნავს ეს? ერის სამსახ[illegible] თუ მის ღალატს? ხალხის კეთილ[illegible] დღეობისათვის შრომას თუ მისი [illegible] ტყვილების ცდას.

რა არის ამის მიზეზი? გულუ[illegible] ყვილობაა თუ ავანტიურა?

რასაკვირველია ორივე ერთ[illegible] გულუბრყვილო „მორწმუნენი“ ხ[illegible] დამატება გახდა ავანტიურისტებ[illegible] მაგრამ როდემდის?

ს. კვინწულისპირელი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტ[illegible]

დავკარგე პარადობის მოწმ[illegible] ბა მოცემული [illegible] დი-ირბა ოღლის სახელზედ. ჩაით[illegible] ლოს გაუმეტებელად.

ტირაჟი 700 საქართვ. კომუნისტურ პარტიის ალმ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. დ. ს. ც.